საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლისის ქედი

ლისის ქედი, მსხალდიდის ქედის აღმ. მონაკვეთი. იწყება დაახლ. სოფ. წოდორეთის მერიდიანთან და ვრცელდება ქალაქის ფარგლებში (ვაშლიჯვრამდე), ზ. დ. 1061 მ (მთა ელია). ქედი აგებულია ზედაეოცენური თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშებით. კალთები დაღარულია მშრალი ხევებითა და პერიოდული ღელეებით, რ-ებიც მდ-ების – დიღმისწყლისა და ვერის შენაკადებია. ძირითადი ლანდშაფტი ჯაგეკლიანი სტეპია, ზოგან – მეორეული ჯაგრცხილნარ-მუხნარი. კალთებზე ხელოვნური ტყის (უმეტესად ფიჭვი) ფორმებია. ქედის ჩადაბლებულ ადგილზე, ტაფობში მდებარეობს ლისის ტბა.

ლ. ქ-ის აღმ. და სამხრ. კალთები განაშენიანებულია. ქედზეა სოფლები: ლისი, აგარაკი, წოდორეთი, მუხათწყარო.